



სააპელაციო საბჭოს
ბადაყვივთილება
ქ. თბილისი



MES 1 21 0000146426



22/02/2021

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2021 წლის 09 თებერვალს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №82299; №82337). საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 02 თებერვლის №53934 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2021 წლის 18 თებერვალს, სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 28³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას განსახილველად შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 2021 წლის 09 თებერვლის №972 და №973 (ცენტრში რეგისტრაციის №82299; №82337) სააპელაციო საჩივარი „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის.
2. სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 22 თებერვლის სხდომის №146216 ოქმის №1 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. თეთრაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
მდივანი
ჭეიშვილი დავით

